ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არაკომერციული იურიდიული პირი
დაწესებულების სახე: პროფესიული კოლეჯი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ გამოთქვამს მზაობას განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას					
№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	მისაღები კონტინგენტი
1.	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	60	20
სულ					20

პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია - კვოტების განსაზღვრის პრინციპები შემუშავებულია სააუდიტორიო და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:
ეკატერინე პატიეშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი:
ირაკლი სალუქვაძე

II. დაწესებულების მისია

დაწესებულების მისიაა:

- შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება, კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;
- სასწავლო გარემო-პირობების შექმნა, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პროფესიული განათლების სპეციალისტების მომზადება;
- მოქალაქეების შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნით და უნარებით უზრუნველყოფა;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება სტანდარტების შესაბამისად;
- საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
- საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება;
- პროფესიული განათლების მიღების, პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ხელშეწყობა;
- განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნელყოფა, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

- ქმედითი, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი, დინამიური თვითგანვითარებისათვის;
- პედაგოგიური პერსონალისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, კვალიფიკაციის ამაღლება;
- ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა მიმართ თანასწორი დამოკიდებულება განურჩევლად წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა.

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2017 წლის 16 აგვისტოს დამფუძნებელთა კრების სხდომის ოქმით N3, მაგრამ პროგრამის თავფურცელში დამტკიცების თარიღად მითითებულია 17 აგვისტო. თარიღებს შორის შეუსაბამობის შესახებ განათლების სამინისტროს წარმომადგენლისგან (ოქმის შემდგენისგან) მიღებული სიტყვიერი განმარტების მიხედვით თარიღებს შორის განსხვავების მიზეზი იყო ის ობიექტური გარემოება, რომ სხდომა შედგა 16 აგვისტოს, საღამოს მომზადდა ოქმი და დამფუძნებელთა კრების წარმომადგენლებმა ოქმს ხელი 17 აგვისტოს მოაწერეს. დამფუძნებელთა კრებას აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს დაწესებულების წესდების მე-7 მუხლის "დ" ქვეპუნქტით. აღნიშნული პროგრამის დამტკიცების დროს მოქმედებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურების 2015 წლის 18 აგვისტოს N4/დ ბრძანება, რომლის თანახმად მოდულურ პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რაც ეწინააღმდეგება კოლეჯის წესდებას. აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად არის გამოცხადებული და შემუშავებულია ახალი წესი 2017 წლის 18 აგვისტოს N25/დ ბრძანებით, რომელიც გამოცემულია განსახილველი პროგრამის დამტკიცების შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის შემუშავებისას არ უსარგებლიათ არსებული წესით და წესდების შესაბამისად პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

პროგრამები აგებულია ჩარჩო დოკუმენტის თანმიმდევრული სტრუქტურის დაცვით, მათ შორის მითითებულია: პროგრამის საფეხური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის ზოგადი მიზანი და სწავლის შედეგები. ასევე, პროგრამის მოცულობა კრედიტებში (1 კრედიტის ოდენობა განსაზღვერულია 25 ასტრონომიული საათით),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

სწავლების მეთოდები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. დამტკიცებული პროგრამის მე-12 მუხლით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების და დამატებითი შეფასების მექანიზმები, რომელიც თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პრინციპებთან. დამტკიცებულ პროგრამაში პუნქტების ნუმერაცია მეორდება, კერძოდ მე-11 და მე-12 პუნქტებში. პროგრამაში არ არის მითითებული პროგრამის ხელმძღვანელი და ჩარჩოსგან განსხვავებით ყველა დარგობრივი მოდული ერთი ქუდის ქვეშ არის გაერთიანებული-არ არის განცალკევებული პროფესიულ/დარგობრივი და საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივი მოდულები.

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის დირექტორი, ნანა ჯოლია წერილობითი (MES 5 17 01044612 11.09.2017) არგუმენტირებული პოზიციით განმარტავს, რომ პროგრამა, სადაც ყველა დარგობრივი მოდული ერთი ქუდის ქვეშ არის გაერთიანებული (არ არის განცალკევებული პროფესიულ/დარგობრივი და საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივი მოდულები), კოლეჯმა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ცენტრის კონსულტაციის შედეგად. ამავე წერილის მიხედვით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია" ხელმძღვანელი.

გაცნობითი პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ქვემოთ მითითებულ კომპანიებთან. აღსანიშნავია, რომ ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტებში ერთი და იგივე დოკუმენტი მეორდება (სხვადასხვა სახელის 2 ფაილის შიგთავსი ერთი და იგივეა), არ არის წარმოდგენილი მესამე კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა ადგილზე. შერჩევითი პრინციპით არჩეულ კომპანიაში ვიზიტის დროს კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა მათი მზაობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების შესახებ. მემორანდუმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის მოცემული პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკა ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი" მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას:

პროგრამა	ორგანიზაცია	მისამართი
ინფორმაციის ტექნოლოგია	ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი	ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქუჩა 11ა
	შპს „ეარნეტი"	ქ. ოზურგეთი გოგებაშვილის ქუჩა 55ა
	თავისუფალი მედია სივრცე	ქ. ოზურგეთი რუსთაველის 22

სსსმ/შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის მიერ ექპერტების ვიზიტის პერიოდში ბრძანებით N 28/დ, 31 აგვისტო 2017 წელი.

პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აღემატება 40 აკადემიურ საათს, ხოლო სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების წინაპირობების დაცვით.

დასტურდება:

1. წესდება;
2. ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა'' ბრძანება N25/დ, 18 აგვისტო 2017 წელი;
3. ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა'' ბრძანება N4/დ, 18 აგვისტო 2015 წელი;
4. დამფუძნებელთა კრების სხდომის ოქმი N3 16 აგვისტო 2017 წელი;
5. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია'';
6. სასწავლო გეგმა;
7. ვიზიტი კომპანიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

1.1 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

შეფასება:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია კატალოგი, სადაც ხდება ინფორმაციის განახლება. მასში ასახულია მხოლოდ ის პროგრამები, რომელზეც მიღებული აქვს განხორციელების უფლება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ანონსის სახით განთავსებულია პროგრამა, რის განხორციელებასაც აპირებს დაწესებულება. მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება:

1. კოლეჯი „ჰორიზონტის" ვებ გვერდზე და დაწესებულებაში არსებული ბეჭდური კატალოგი.

1.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება:

1. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი.

1.3 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N 23/დ „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კოლეჯის 2017 წლის საშემოდგომო და შემდგომი მიღებებისათვის" დამტკიცებულ წესში განსაზღვრულია აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების გზები, ჩარიცხვის პროცედურები და პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების წესი. ასევე გაწერილია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები და აღდგენის მექანიზმები. ამავე წესში მითითებულია პროფესიული სტუდენტის მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების რეგულაციები.

დასტურდება:

1. ა(ა) იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2014 წლის 25ივნისის ბრძანება N1/დ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის, საგანმანათლებლო პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფით წესის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა) იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N4/დ, არაფორმარული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ;
3. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N 23/დ „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კოლეჯის 2017 წლის საშემოდგომო და შემდგომი მიღებებისათვის".

1.4 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს N 23/დ ბრძანების „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კოლეჯის 2017 წლის საშემოდგომო და შემდგომი მიღებებისათვის" მე-5 მუხლით განსაზღვრულია პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც დაწესებულება იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს სტუდენტს მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებით სარგებლობაში.

დასტურდება:

1. ა(ა) იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2014 წლის 25ივნისის ბრძანება N1/დ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის, საგანმანათლებლო პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფით წესის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N 23/დ „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კოლეჯის 2017 წლის საშემოდგომო და შემდგომი მიღებებისათვის";
3. კოლეჯის ვებ გვერდი (განთავსებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი");
4. გაფორმებული მემორანდუმები შემდეგ კოლეჯებთან:
   1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისი" 14 აგვისტო 2017 წელი,
   2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი" 14 აგვისტო 2017,
   3. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი" 22 აგვისტო 2017 წელი.

1.5 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ა(ა) იპ პროფესიულ კოლეჯს „ჰორიზონტი" შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება:

1. დირექტორის ბრძანება N113/ს, 28.12.2012, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ.

1.5 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი,

შეფასება:

კოლეჯს იჯარის ხელშეკრულებით კანონიერ მფლობელობაში აქვს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით არსებული სახელმწიფო ქონება. დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა არის 4063 კვ.მ, აქედან შენობა ნაგებობის განაშენიანების საერთო ფართი არის 825 კვ.მ, შენობის 3-ვე სართული საერთო ფართით არის 2154 კვ.მ.
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართის მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ N8	4063

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

დასტურდება:

1. 2014 წლის 8 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულებით რომლის მოქმედებაც განსაზღვრულია 5 წლით;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. ვიზუალური დათვალიერება.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

შეფასება:

ექსპერტების მიერ მოხდა პროგრამისთვის განკუთვნილი ყველა აუდიტორიის ვიზუალური დათვალიერება ადგილზე არსებული ინვენტარის, ტექნიკური მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის რაოდენობის შემოწმების მიზნით:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მითითებული აუდიტორიები, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითა და ინვენტარით, რომელთა რაოდენობა და მონაცემები იძლევა სასწავლო პროცესის სრულყოფილად და შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას პროგრამაზე ერთჯერადად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისი მოდულის განხორციელებისთვის აუდიტორიები აღჭურვილია: პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორებით, პრინტერებით, მოდულით/მოდულებით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობებით. ასევე, შესაბამისი მოდულის განსახორციელებლად პერსონალურ კომპიუტერებში დაინსტალირებულია საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და არსებობს საჭირო პროგრამული პაკეტის დისკებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

დასტურდება:

4. ვიზუალური დათვალიერება;
5. შესაბამისი ტექნიკისა და აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტები;
6. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ის საინვენტარიზაციო აღწერის შედეგები.

2.1 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათება და გათბობის საშუალებები.

შეფასება:

პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტს" უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, ყველა აუდიტორიას აქვს ბუნებრივი განათება. კოლეჯში ასევე არის ცენტრალური გათბობა და გაგრილების სისტემა.

დასტურდება:

1. ს.ს. ,,ენერგო-პრო ჯორჯიასთან" გადახდის ქვითრები;
2. შპს „სოკარ-ჯორჯია გაზთან" გაფორმებული ხელშეკრულება (NOZ-139, 01.07.2017 წელი);
3. წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით გადახდის ქვითრები;
4. ვიზუალური დათვალიერება.

2.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

შეფასება:

კოლეჯში საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობს წიგნადი ფონდის კარტოთეკა და ასევე კოლეჯი სარგებლობს ელექტრონული წიგნებით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით. ექსპერტების მიერ, შერჩევის წესით, შემოწმდა და დადასტურდა მოდულით გათვალისწინებული ლიტერატურის არსებობა როგორც ბეჭდური სახით, ასევე კომპიუტერზე, რომელიც ელექტრონულ მატარებელზეც არის ჩაწერილი.

დასტურდება:

1. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2. ბიბლიოთეკის კატალოგი;
3. ვიზუალური დათვალიერება და პერსონალთან გასაუბრება.

2.3 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

შეფასება:

შესაბამისი პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფილია როგორც სასწავლო აუდიტორიები, ასევე ადმინისტრაციული/დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და ბიბლიოთეკა. დაწესებულება იყენებს კორესპონდენციის ელექტრონული წარმოების საშუალებას (e-flow.emis.ge), კოლეჯი აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს (evet.emis.ge) და იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დაწესებულება მთლიანად უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტის ხელმისაწვდომობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

დასტურდება:

1. შპს „მაგთიკომთან" გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტმომსახურების და „ტექნიკური დავალებით" (მაგ.ჰოსტინგი შესაბამისი პარამეტრებით) გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების შესახებ;
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" ბალანსზე რიცხული მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

2.4 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

შეფასება:

კოლეჯი იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას - e-flow.emis.ge, რომლით სარგებლობის შესახებ წესი მოცემულია ,,საქმისწარმოების-ინსტრუქციაში".

დასტურდება:

4. საქმისწარმოების ინსტრუქცია;
5. აქტების და კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალები.

2.5 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

ა(ა) იპ პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტში'' დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. კოლეჯს გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სტუდენტებს და პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს ექთანი. კოლეჯს გააჩნია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ ვიდეო სათვალთვალო სისტემა, სართულის მორიგეები, დარაჯი.

დასტურდება:

1. ადგილზე დათვალიერება;
2. ა(ა)იპ პროფესული სწავლების ცენტრსა და შპს ,, იუნაიტედ სექიურიტი''-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ,,ვიდეო სათვალთვალო სისტემის დამონტაჟება -გამართვის, სამუშაოების შესახებ;
3. მორიგეობის გრაფიკი;
4. 2014 წლის, 05.08. დირექტორის ბრძანება #6/დ, კოლეჯი „ჰორიზონტის" პირველადი დახმარების აღმოჩენისა წესის და მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
5. 2014 წლის, 05.08. დირექტორის ბრძანება #10/დ კოლეჯი „ჰორიზონტის" უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელთა მიზნებიც თავსებადია მისიასთან. სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

დასტურდება :

1. 2013 წლის 25 დეკემბრის ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის" დირექტორის #5/დ ბრძანება, განვითარების გრძელვადიანი 6 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
2. 22 დეკემბრის 2016 წლის დირექტორის ბრძანება #232/ს ,ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის" ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია მათ თანამდებობებთან.

დასტურდება:

1. პერსონალის პირადი საქმეები;
2. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. CV შესაბამისი განათლებით და გამოცდილებით;
4. კოლეჯი ,,ჰორიზონტის'' თანამშრომლების სამსახურებრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანება 5/დ, 05.08.2014;
5. დამტკიცებული საშტატო განრიგი 07.11.2016.

3.1 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

დაწესებულების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგი''-ს განმახორციელებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, რომელიც არის ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების მსგავსი, კერძოდ, მასწავლებლის კვირეული დატვირთვა განსაზღვრულია 40 საათით.

დასტურდება:

1. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები; ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლების შერჩევის წესი'' ბრძნება N 3/დ 25.12.2013;
2. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
3. სერტიფიკატები.

3.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

დაწესებულებაში რეესტრის მონაცემებით ირიცხება 290 სტუდენტი და 41 მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

დასტურდება:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი;
2. პროგრამის დანართი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

3.3 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლების შერჩევის წესი, პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხდება კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ შექმნილი წესის შესაბამისად.
პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანომდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების საფუძველზე, მასწავლებლების დანიშვნის შესახებ გამოიცემა ბრძანებები, ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება:
1. კოლეჯის მასწავლებელთა დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები. (წინარე ხელშეკრულებები 3 პედაგოგზე);
2. დირექტორის 2013 წლის 25.12 ბრძანება #3/დ ,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:

1.1
- პროგრამაში მოდულების სტატუსები (საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივი და პროფესიულ დარგობრივი) გაიმიჯნოს და ნუმერაცია გამოსწორდეს;
- მემორანდუმში აღინიშნოს ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის განთავსება არის შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტზე

1.2
კატალოგის დამტკიცება სავალდებულო არაა, თუმცა დაწესებულებას შესაძლოა ჰქონდეს დამტკიცებული.

2.3
- ბიბლიოთეკის ფონდი გარდა სავალდებულო ლიტერატურისა შესაძლოა მოიცავდეს სხვა სახის ლიტერატურასაც.

2.8
- დაწესებულების სტრუქტურა განთავსებულ იყოს ორგანოგრამის სახით;
- იყოს შესაძლებელი On-line რეგისტრაცია;
- ვებ გვერდს ქონდეს სასარგებლო ლინკები;
- ვებ გვერდზე კატალოგის არსებობის შემთხვევაში ცალკე პროგრამების განთავსება სავალდებულო არაა.

3.2
- ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების დროს შესწორებული და შესაბამისობაში მოყვანილ იქნას აღნიშნული ჩანაწერი;
- ,,საქართველოს კანონის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" თანახმად, პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან აღებულ იქნას ნებართვა (წერილობითი სახით) გასაჯაროების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი""-ს დირექტორი, ნანა ჯოლია წერილობითი (MES 5 17 01044612 11.09.2017) არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ეთანხმება 2017 წლის 31 აგვისტოს და პირველ სექტემბერს, კოლეჯ „ჰორიზონტი"-ში განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ამავე წერილის მიხედვით კოლეჯის მიერ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები შემდეგ მუხლებთან მიმართებაში:

1.1-არსებული რეკომენდაცია კოლეჯის მიერ გაფორმებულ მემორანდუმებში (ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, შ.პ.ს „ეარნეტი",ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცე), რომელშიც არ არის განსაზღვრული ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის განთავსება არის შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია,თითოეული მემორანდუმით განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტის განთავსება პრაქტიკის ობიექტზე.

3.2-არსებული რეკომენდაცია პედაგოგებთან ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ , გათვალისწინებული იქნება.

3.2-არსებული რეკომენდაცია „საქართველოს კანონის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" თანახმად , პროგრამის განმახორციელებელი პირებისაგან პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროების ნებართვის (წერილობითი სახით) აღების შესახებ რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

2.8-არსებული რეკომენდაცია ვებ გვერდთან დაკავშირებით კოლეჯის მიერ გათვალისწინებულია.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

- ხელშეკრულება N4 (წინარე შრომითი ხელშესკრულება), 17.08.2017;
- წესდება, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი", 20.04.2012;
- ბრძანება N4/დ, 18.08.2017;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი" დამფუძნებელთა კრების სხდომის ოქმი N3, 16.08.2017;
- ბრძანება N28/დ, ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტში" სსსმ/შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმის დამტკიცების შესახებ, 31.08.2017;
- ბრძანება N25/დ, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა", 18.08.2017.

ქ. თბილისი 14.09.2017

(შევსების ადგილი) თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____